- უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების, შემდგომი მართვის მიზნით, გარემოსდაცვითი ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიის შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლი;
- უზრუნველყოს ნარჩენების ტრანსპორტირებაზე ხელშეკრულების ლიცენზირებულ გადამზიდავთან გაფორმება, ან/და გარემოს დაცვის სამინისტროსგან რეკომენდაციის/ნებართვის მოპოვება;
- ქონდეს მჭიდრო თანამშრომლობა გარემოსდაცვით სფეროში დასაქმებულ პერსონალთან, რათა პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისთვის სათანადო ზომების მიღება და შემდგომ, ყველა წარმოქმნილი ნარჩენის იდენტიფიცირება, მათი შეგროვების, ტრანსპორტირების და განთავსების პროცედურების განსაზღვრა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ფორმით მათი ხელახალი გამოყენების, აღდგენის, გადამუშავების, მართვის და განთავსების შესაძლებლობების დადგენა;
- უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალისთვის ნარჩენების მართვის გეგმის მოთხოვნების შესახებ ოფიციალური ტრენინგ პროგრამების ჩატარება და გააცნოს ასევე ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები.

დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

- დეპარტამენტის უშუალო წარმომადგენელი, ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონტაქტო პირი, რომელიც იღებს პროექტის მშენებლობის ფაზაზე ნარჩენების მართვასთან ან განთავსებასთან დაკავშირებით არსებულ საჩივრებს;
- პასუხისმგებელია საჩივრების კონტროლის პროცესის ხელშეწყობაზე.

მშენებელი კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერი

- პასუხისმგებელია კონტრაქტორის და ქვეკონტრაქტორის თანამშრომლების მხრიდან წინამდებარე სამშენებლო ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობების შესრულებაზე;
- კონტრაქტორის არსებული გეგმების/პროცედურების მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში მათი განახლება, რათა გათვალისწინებულ იქნას წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნა;
- სამშენებლო მოედანზე ნარჩენების მართვის კონტროლის და ყველა შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წინამდებარე გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
- მის კონტროლს დაქვემდებარებული პერსონალისთვის ნარჩენების მართვის შესახებ ტრენინგის ჩატარება;

კონტრაქტორის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მენეჯერი

- პასუხისმგებელია კონტრაქტორის და ქვეკონტრაქტორის თანამშრომლების მხრიდან წინამდებარე გეგმით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობების პრაქტიკულ ყოველდღიურ შესრულებაზე;
- კონტრაქტორის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ოფიცერთან ერთად სათანადო მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ნებისმიერი დარღვევის ან გარემოსდაცვითი ინციდენტის გამოვლენის შემთხვევაში და მათი ადგილზე განხორციელების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების მართვის ეფექტურობის შესახებ მონაცემების წარდგენა შესაბამის სახელისუფლო ორგანოებთან, მათი მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე;
- კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერთან თანამშრომლობა ნარჩენების მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით;
- არსებული ნარჩენების მართვის გეგმების / პროცედურების მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში მათი განახლება, რათა გათვალისწინებულ იქნას წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნა;
- ნარჩენების ტრანსპორტირებაზე ხელშეკრულების ლიცენზირებულ გადამზიდთან გაფორმება, ან აჭარის გარემოს დაცვის სააგენტოსგან რეკომენდაციის / ნებართვის მოპოვება;
- ნარჩენების განთავსების და მინიმუმზაციის ალტერნატიული ვარიანტების წელიწადში ერთხელ განხილვა;
- სამშენებლო მოედანზე დასაქმებული პერსონალისთვის წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესახებ ტრენინგის ჩატარება;
- წინამდებარე გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შედეგების კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერისთვის წარდგენა;
- ინსპექციების, მონიტორინგის და ანგარიშების მონაცემების განხილვა და შეფასება;
- საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ქვეკონტრაქტორების ნარჩენების მართვის პროცედურების მიმოხილვა წინამდებარე სამშენებლო ნარჩენების მართვის გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საქმიანობის (ნარჩენების მართვის ასპექტების ჩათვლით) შესახებ ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და

კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერისთვის და დამკვეთის EHS მენეჯერისთვის წარდგენა;

- ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის ტერიტორიების შერჩევა და აღნიშნული ტერიტორიების სამშენებლო მოედნის გეგმაზე დატანა დამკვეთის გარემოსდაცვით მენეჯერთან შეთანხმების საფუძველზე;
- სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა გარეშე ორგანოებთან ურთიერთობისთვის კონტრაქტორის მხრიდან წარმოდგენილი საკონტაქტო პირი.

კონტრაქტორის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ოფიცერი

- პირი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე სამშენებლო ნარჩენების მართვის გეგმის ყოველდღიურ შესრულებაზე;
- პასუხისმგებელია ნარჩენების სამშენებლო მოედნიდან გატანის აღრიცხვებზე;
- პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე ყოველთვიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვაზე;
- პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი და მოედნიდან გატანილი ნარჩენების აღმრიცხველი ჟურნალის ყოველთვიურ მიმოხილვაზე;
- პასუხისმგებელია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ტრენინგის და ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე;
- სამშენებლო მოედანზე დასაქმებული მუშახელისთვის და ინჟინრებისთვის დახმარების და რეკომენდაციების გაწევა, წინამდებარე გეგმის მოთხოვნების შესრულების მიზნით;
- პასუხისმგებელია მინიმუმ ექვს თვეში ერთხელ ნარჩენების ტრანსპორტირების კონტროლზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნარჩენების მართებული საბოლოო განთავსება;
- პასუხისმგებელია ნარჩენების დროებითი განთავსების უბნების ყოველდღიურ შემოწმებაზე;
- პასუხისმგებელია სამშენებლო მოედნის ყოველკვირეულ ინსპექციაზე გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- პასუხისმგებელია ინსპექციებისა და დოკუმენტაციების მიმოხილვის შედეგების კონტრაქტორის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მენეჯერისთვის წარდგენაზე;
- პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე ნარჩენების მართვის საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვებაზე, შედეგების გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ყოველთვიურ ანგარიშში ასახვასა და ანგარიშის კონტრაქტორის EHS მენეჯერისთვის წარდგენაზე;
- პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე ნარჩენების მართვის სათანადო ღონისძიებების შესრულებაზე, წინამდებარე სამშენებლო ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, მის კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში;
- პასუხისმგებელია ნებისმიერი ინციდენტის გამოვლენის შემთხვევაში, ინციდენტის ფორმის შევსებასა და შესაბამისი მაკორექტირებელი ან პრევენციული ღონისძიების განხორციელებაზე, საჭიროებისამებრ.

კონტრაქტორის პერსონალი

- პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული პროცედურებისა და ღონისძიებების შესრულებაზე;
- პასუხისმგებელია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხის შესახებ ზედამხედველის და / ან გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ოფიცერის ინფორმირებაზე.

კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

- საკონტაქტო პირი, რომელიც იღებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან შემოსულ საჩივრებს.

ქვეკონტრაქტორები

- კონტრაქტორის სამშენებლო მოედნის მენეჯერი პასუხისმგებელია ყველა ქვეკონტრაქტორის მხრიდან წინამდებარე გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე;
- პასუხისმგებელია მოსახლეობის მხრიდან შემოსულ საჩივრებზე დაუყოვნებლივ რეაგირებაზე და ხელმძღვანელობასთან ერთად საკითხის დადებითად გადაჭრაზე.

1.6.1.10 ნარჩენების მართვის მონიტორინგი

ნარჩენების მართვის მონიტორინგი მოიცავს რეგულარულ ვიზუალურ ინსპექტირებას და ნარჩენების მენეჯმენტის კონტროლს.

მონიტორინგს ექვემდებარება შემდეგი პროცესები/კომპონენტები:

- კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში განახლება ან/და ცვლილების შეტანა;
- ჩანაწერები საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/რეგისტრაციის/ტრანსპორტირების საკითხებთან დაკავშირებით;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ვადების კონტროლი;
- ნარჩენების მართვის ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო მოწყობილობები და ინვენტარი;
- ნარჩენების წარმოქმნის ახალი წყაროების და სახეობების იდენტიფიცირება;
- ნარჩენების რაოდენობის ცვლილება;
- ნარჩენების დროებითი განთავსების უბნები;
- ნარჩენების განთავსების კონტეინერების ტექნიკური მდგომარეობა;
- ნარჩენების შეგროვებისათვის მოწყობილი კონტეინერების მარკირება (ცვეთა/დაკარგვა);
- და სხვ.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეფასდება ნარჩენებით გარემოზე ზემოქმედების რისკები, განისაზღვრება მათი შემარბილებელი ღონისძიებები; შეფასდება ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ეფექტურობა; შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში შემუშავდება მაკორექტირებელი ქმედებები.

სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი

სახიფათო ნარჩენის კოდი		სახიფათო ნარჩენის დასახელება	
_____		_____	
სახიფათო თვისებები	კლასიფიკაციის სისტემა	H კოდები	სახიფათობის განმსაზღვრელი მახასიათებელი
	ძირითადი:		
	დამატებითი:		

პროცესი/საქმიანობა, რომლის შედეგად წარმოიქმნება სახიფათო ნარჩენები		
ფიზიკური თვისებები	მყარი <input type="checkbox"/> თხევადი <input type="checkbox"/> ლექი <input type="checkbox"/> აირი <input type="checkbox"/>	შენიშვნა
ქიმიური თვისებები	მჟავა <input type="checkbox"/> ტუტე <input type="checkbox"/> ორგანული <input type="checkbox"/> არაორგანული <input type="checkbox"/> ხსნადი <input type="checkbox"/> უხსნადი <input type="checkbox"/>	შენიშვნა
გამოსაყენებელი შეფუთვის ან კონტეინერის სახეობა _____	სახიფათოობის ნიშნები, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს შენახვის/ტრანსპორტირების დროს _____	
პირველადი დახმარება _____	ზომები საგანგებო სიტუაციის დროს _____	

სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა

1. გამგზავნი

კომპანია	საკონტაქტო პირი	მისამართი/ ტელეფონი
----------	-----------------	---------------------

2. მიმღები

კომპანია	საკონტაქტო პირი	მისამართი/ ტელეფონი
----------	-----------------	---------------------

3. დატვირთვის ადგილი

კომპანია	საკონტაქტო პირი	მისამართი/ ტელეფონი
----------	-----------------	---------------------

4. გადმოტვირთვის ადგილი

კომპანია	საკონტაქტო პირი	მისამართი/ ტელეფონი
----------	-----------------	---------------------

5. გადამზიდველი №1

კომპანია	საკონტაქტო პირი	მისამართი/ტელეფონი:	ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი:	ტრაილერის რეგისტრაციის ნომერი:	სარკინიგზო გადაზიდვა N:
----------	-----------------	---------------------	--	--------------------------------	-------------------------

6. გადამზიდველი № 2

კომპანია	საკონტაქტო პირი:	მისამართი/ტელეფონი:	ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი:	ტრაილერის რეგისტრაციის ნომერი:	სარკინიგზო გადაზიდვა N:
----------	------------------	---------------------	--	--------------------------------	-------------------------

ტრანსპორტირება

7. №	8. ნარჩენის კოდი	9. ნარჩენის დასახელება	10. ოდენობა (კგ)

დადასტურება:

11. ნარჩენები გადაეცა გადამზიდველს	12. ნარჩენები მიიღო გადამზიდველმა	13. ნარჩენები გადაეცა მიმღებს	14. ნარჩენები მიღებულია შენახვის/აღდგენის/განთავსების მიზნით
თარიღი/დრო	თარიღი/დრო	თარიღი/დრო	თარიღი/დრო
გამგზავნის ხელმოწერა	გადამზიდველის ხელმოწერა	გადამზიდველის ხელმოწერა	მიმღების ხელმოწერა

დანართი 2

ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 22.01.2020 წლის №08 სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ.

№	გზშ-ს ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი	პასუხი
1	გზშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;	შენიშვნა გათვალისწინებულია
2	გზშ-ს ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;	შენიშვნა გათვალისწინებულია
3	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;	შენიშვნა გათვალისწინებულია
3.1	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;	შენიშვნა გათვალისწინებულია
4	გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:	
	პროექტის აღწერა;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3.

	პროექტის საჭიროების დასაბუთება;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3.
	საპროექტო ხიდის ალტერნატიული ვარიანტები: შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, საპროექტო ხიდის განთავსების ვარიანტები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივა.	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 9.
	საპროექტო ხიდის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები მათ შორის გეომეტრიული პარამეტრები, ხიდის საფარისა და განივი კვეთების შესახებ ინფორმაცია;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები და shape ფაილები;	შენიშვნა მიღებულია
	ინფორმაცია არსებული ხიდის და მისი დემონტაჟის შესახებ;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	სამშენებლო ბანაკის, სანაყაროების, დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოსაწყობი ტერიტორიის shape ფაილები	შენიშვნა მიღებულია
	გზის საფარის და განივი კვეთების შესახებ ინფორმაცია;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	საპროექტო ხიდის ძირითადი ინფრასტრუქტურის დაშორება მოსახლეობასთან კონკრეტული მანძილების მითითებით	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური აღწერა;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	ინფორმაცია არხის ცოცხალ კვეთაში ტექნიკის განთავსებასთან დაკავშირებით, წყლის სიმღვრივის მატების საფრთხის გათვალისწინებით;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	ინფორმაცია საპროექტო ადგილამდე მისასვლელი გზის აღწერილობის შესახებ;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
4.1	სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ :	
	მცენარეული და ნიადაგის საფარის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3

	სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);	
	როგორი თანმიმდევრობით (ვადების მითითებით) განხორციელდება საპროექტო ხიდის მშენებლობა;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 1
	მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების საერთო რაოდენობა, მათ შორის ადგილობრივ დასაქმებულთა წილი;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	საიდან მოხდება ხიდის მშენებლობისთვის საჭირო ინერტული მასალების მოპოვება;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	სამშენებლო მასალების დამზადების შესახებ ინფორმაცია;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	სამშენებლო მასალების დამზადებისთვის საჭირო წყლის გამოყენების საკითხები;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	ინფორმაცია ბეტონის სამუშაოების, ფუნდამენტებისა და ხიდის სტრუქტურული მოწყობის შესახებ;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	ფუჭი ქანების განთავსების ადგილმდებარეობის კოორდინატები, მათი მოცულობა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	ხიდის მშენებლობისათვის საჭირო მასალების რაოდენობა	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
4.2	სამშენებლო ბანაკის განთავსების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:	
	სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3
	ბანაკის განთავსების ადგილის ფართობი და GIS კოორდინატები;	შენიშვნა გათვალისწინებულია
	სამშენებლო ბანაკის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგება, მათ	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3

	შორის სამარაგო რეზერვუარის შესახებ ინფორმაცია	
	სამშენებლო ბანაკზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის თავი 3
	მონაცემები მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის თავი 3
	ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე საწვავი რეზერვუარის მოწყობასთან დაკავშირებით (განთავსების შემთხვევაში ადგილის GPS კოორდინატების მითითება, ტევადობა, ავარიული დაღვრის შემთხვევაში შემაკავებელი ბარიერის მოწყობის შესახებ ინფორმაცია);	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის თავი 3
4.3	საპროექტო დერეფანში ჩასატარებელი გეოლოგიური კვლევების ანალიზი	
	გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა, სეისმური პირობები, ჰიდროლოგიური პირობები, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის დანართი 4 საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში
	მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება. საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, დამცავი (შემარბილებელი) ღონისძიებების მითითებით;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის დანართი 4 საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში
	საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის დანართი 4 საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში
	მშენებლობის დაწყებამდე საპროექტო დერეფანში ჩასატარებელი დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სამუშაო პროგრამა;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის დანართი 4 საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში
	გეოლოგიური კვლევების შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის დანართი 4 საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში
	ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის 6

	ღონისძიებები;	
4.4	ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს	
	(მტკვრის) არხის წყლის რეჟიმი, წყალმცირობისა და წყალუხვობის პერიოდში	<p>მდინარე მტკვარის მოკლე ჰიდროლოგიური დახასიათების შესახებ ინფორმაციის გაცნობისათვის გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 5</p> <p>ხოლო რაც შეეხება „(მტკვრის) არხის წყლის რეჟიმი, წყალმცირობისა და წყალუხვობის პერიოდში“ ინფორმაციას, როგორც თქვენთვის ცნობილია _ზაჰესის ბეტონით მოპირკეთებული დერივაციული არხი წყალს იღებს იმავე დასახელების სათავე ნაგებობის სარეგულაციო ფარებით აღჭურვილი წყალმიმღების მეშვეობით. სარეგულაციო ფარების დანიშნულებაა წყალდიდობის, წყალმოვარდნის თუ წყალმცირობის პერიოდში არხში წყლის ხარჯის გაშვება, რომლის სიდიდე, მდინარის წყლიანობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს არხის საპროექტო გამტარუნარიანობას.</p> <p>ბ.უკლევა</p>
	ეროზიული პროცესების შესახებ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;	<p>არხის ქანობი გაანგარიშებულია გამრეცხი სიჩქარეების გათვალისწინებით, რაც ნორმალური ექსპლუატაციის პერობებში, გამორიცხვას არხში ეროზიული პროცესების განვითარებას. ბეტონით მოპირკეთებულ არხებში კი ეროზიული</p>

		<p>პროცესების განვითარება შეუძლებელი და წარმოდგენილია.</p> <p>ბ.უკლევა</p>
4.5	ბიოლოგიური გარემო:	
	<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგების ფოტომასალასთან ერთად;</p>	<p>გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 5</p>
	<p>გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, (ფოტომასალასთან ერთად) პროექტის გავლენის ზონაში არსებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე(მათ შორის იქთიოფაუნაზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე (არხის კალაპოტში ბურჯის მშენებლობის საკითხი);</p>	<p>გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის 5 და თავი 6</p>
	<p>ზემოქმედება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებზე (ფოტომასალასთან ერთად). მათზე ზემოქმედების შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია ზემოქმედებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობების და რაოდენობის მითითებით. ზემოქმედება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე. ამ ზემოქმედების შემცირების, შერბილების, თავიდან აცილების და</p>	<p>გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 5</p>

	საკომპენსაციო ღონისძიებებზე;	
	ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე, შემუშავდეს შემარბილებელი ღონისძიებების თავი, მონიტორინგის გეგმა და მონიტორინგის გეგმაში აისახოს, ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი.	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის 8 თავის ცხრილი 8.3
4.6	კულტურული მემკვიდრეობა:	
	სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო სახიდე გადასასვლელის გავლენის ზონაში ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. თუმცა, როგორც არსებული, ასევე საპროექტო სახიდე გადასასვლელი ექცევა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების: ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარისა და სამთავროს მონასტრის ინდივიდუალური დამცავი ზონის ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალში, სადაც მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. შესაბამისად, ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტი უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა;	გთხოვთ იხ დაწართი 7
	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, აღწერა და შედეგების შესწავლა, ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;	გთხოვთ იხ დაწართი 6-არქეოლოგიური კვლევის და ძეგლების გამოვლენისა და დაცვის ანგარიშები
	გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი (ისტორიკოსი/არქეოლოგი, ხელოვნების ისტორიკოსი), რათა სათანადოდ შეფასდეს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება და გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები;	შენიშვნა მიღებულია

5.	გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:	
	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მშენებლობის ეტაპზე, ემისიები სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას, სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტებიდან გაბნევის ანგარიში;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 6
	ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 6
	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 6
	ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე (არხი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი, შემარბილებელი ღონისძიებებთან ერთად;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 6
	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის დანართი 1
	ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 3 და 6
	მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 7
	განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკი მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდისთვის;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 8
	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;	გთხოვთ იხილოთ გზშ-ს ანგარიშის თავი 11
	სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება	2019 წლის 20 დეკემბერს დაბა ზაჰესში, ქ. თბილისის N208 საჯარო სკოლის შენობაში გაიმართა აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს

		საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები, გლდანის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი და ადგილობრივი მოსახლეობა. დამსწრე საზოგადოების მხრიდან საჯარო განხილვაზე აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა.
	შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასება;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის თავი 6
	გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის თავი 10
6	გზმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:	
	აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shape ფაილი WGS_1984_UTM 37N/38N_Zone პროექციით), სადაც მოცემული იქნება საპროექტო მონაკვეთის ინფრასტრუქტურული ობიექტები, არსებული და საპროექტო სახიდე გადასასვლელი, სამშენებლო ბანაკი, სამშენებლო მოედნები, სანაყაროს ტერიტორია (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის დანართი 3
	ხიდის ინფრასტრუქტურული ობიექტების ძირითადი ტექნიკური პარამეტრები ერთიანი ცხრილის სახით;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის თავი 3
	ინფორმაცია საპროექტო დერეფანში განსახლებას დაქვემდებარებული ტერიტორიების შესახებ;	გთხოვთ იხილოთ გზმ-ს ანგარიშის თავი 3

დანართი 3 _ აეროფოტო



დანართი 4 საინჟინრო გეოლოგიური კვლევა

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა

1. შესავალი

2019 წლის სექტემბერში შპს „ტ.ტ. კომპანი“-ს მიერ, შპს „ინტერპროექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ტექნიკური დავალების მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის მდ.მტკვარზე ზაჰესი- ჯვრის მონასტრის გზის 1+00კმ-ზე, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების: „Инженерные изыскания для строительства“СП-11-105-87, Госстрой СССР „Методика оценки прочности и сжимаемости крупнообломочных грунтов“, „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ01.01-09), „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ02.01-08) და „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ01.05-08) მოთხოვნების შესაბამისად. ბურღვა ჩატარდა საბურღი აგრეგატით УРБ-2А საცავი მიღებით 127მმ, 108მმ და 89მმ დიამეტრით.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა აქ გავრცელებული გრუნტების შესწავლა. ამისათვის გაბურღილი იქნა 2 ჭაბურღილი სიღრმით 8.0მ და 11.0მ, სულ საერთო სიღრმით 19მ. ადგილზე ჩატარდა 1 საველე გაცრა, აღებული იქნა კვლევის ქანის ერთი ნიმუში ერთდერძა კუმშვაზე წინააღობის განსასაზღვრავად და წყლის ერთი სინჯი ქიმიური შემადგენლობის განსასაზღვრავად.

ადგილმდებარეობის ვიზუალური დათვალიერების, ჭაბურღილების ბურღვის, ლაბორატორიული კვლევისა და საფონდო მასალების კამერალური დამუშავების მონაცემების საფუძველზე შედგენილია:

- ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები;
- უბნის გრძივი გეოლოგიური ჭრილი;
- გრუნტის წინააღობა ერთდერძა კუმშვაზე;

- გრუნტის გრანულომეტრიული შემადგენლობის ცხრილი;
 - გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის ცხრილი;
- გრუნტების ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობის ცხრილი;
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

2. გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია

საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუქის მიხედვით თბილისის ტერიტორია და მისი შემოგარენი წარმოადგენს მთაგორიან, ძლიერ დანაწევრებული რელიეფის მქონე ზონას მდ. მტკვრის ხეობაში მისი ძირითადი ოროგრაფიული იერი დაკავშირებულია თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებასთან. თბილისს ამ მთაგორიან ზონაში უკავია ღრმა, ქვაბულის მსგავსი ხეობის ძირი და ფერდობები. ქვაბულის სიგანე 3-4კმ-ს აღწევს.

რაიონის ჰიდროგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს მდ.მტკვარი თავისი შენაკადებით. იგი ძირითადად იკვებება თოვლის ნადნობითა და წვიმის წყლებით, აქედან მას ახასიათებს წყალდიდობის ორი პერიოდი, გაზაფხულის მარტი-ივლისის თვეში და შემოდგომის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში.

3. კლიმატური პირობები

ზოგადი დახასიათება

სამშენებლო-კლიმატური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება III კლიმატურ და III-გ ქვერაიონს. იგი მდებარეობს ზემო და ქვემო ქართლის ბარის მშრალი სუბტროპიკული ჰავის ზონაში.

კლიმატური მონაცემები აღებულია მეტეოსადგურ ავჭალის მონაცემებზე დაყრდნობით.

ჰაერის ტემპერატურა

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა $+12.4^{\circ}\text{C}$; ყველაზე ცივი თვის. იანვრის, საშუალო თვიური ტემპერატურაა -8°C , ყველაზე ცხელის – ივლის-აგვისტოსი კი $+30.3^{\circ}\text{C}$; ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმია -23°C , აბსოლუტური მაქსიმუმი $+40^{\circ}\text{C}$.

ჰაერის ტენიანობა

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 74%-ია; აბსოლუტური მინიმუმი აპრილის თვეში არის 67%, აბსოლუტური მაქსიმუმი კი ნოემბერ-დეკემბერი 82%. ყველაზე ცივი თვის 70% ხოლო ყველაზე ცხელი თვის 45%.

ქარის სიჩქარე

მოსალოდნელი მაქსიმალური სიჩქარე: 1 წელიწადში – 28 მ/წმ, 5 წელიწადში ერთხელ – 33 მ/წმ, 10 წელიწადში ერთხელ – 35 მ/წმ, 15 წელიწადში ერთხელ – 36 მ/წმ, 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ. ქარის წნევა 5 წელიწადში ერთხელ – 0.30 კპა, 15 წელიწადში ერთხელ 0.38 კპა.

ნალექიანობა

- ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა – 570 მმ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი – 147 მმ-ია.
- თოვლის საფარიანი დღეების რაოდენობაა – 14. თოვლის წონა 0.50 კპა.

ნიადაგის ტემპერატურა

ნიადაგის ჩაყინვის სიღრმე თიხებისა და თიხნარებისათვის არის 0 სმ. წვრილი და მტკრისებური ქვიშისა და ქვიშნარებისათვის არის 0 სმ, მსხვილი, საშუალო სიმსხვილის და ხრეშისებური ქვიშებისათვის 0 სმ., მსხვილნატეხოვანი გრუნტებისათვის 0 სმ.

4. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით თბილისი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ ნაწილის ცენტრალურ ტექტონიკურ ზონაში. განსხვავებით სხვა ნაწილებისგან აღმოსავლეთი დაბოლოება, რომელიც შეესაბამება აღმოსავლეთ დაძირვის ზონას, ხასიათდება ნაოჭების შესუსტებით, გამოხატული შედარებით ნორმალური ნაოჭებით.

როგორც ავლნიშნეთ ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, რომელიც გეოლოგიურად წარმოდგენილია პალეოგენური ასაკის კლდოვანი ქანებისაგან. ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ისინი გადაფარული არიან თანამედროვე მეოთხეული ასაკის, სხვადასხვა გენეზისის წარმონაქმნებით, მაგრამ რელიეფის ძლიერი დანაწევრების გამო, განსაკუთრებით მარჯვენა ნაპირზე, ეს კლდოვანი ქანები კარგად არიან გაშიშვლებულნი მთების ფერდობებზე და ხევების ბორცვებზე. საკვლევი უბნის ტერიტორია გეოლოგიურად განლაგებულია შუა ეოცენური ასაკის ძირითადი კლდოვანი ქანების გავრცელების არეში. ლითოლოგიურად ისინი წარმოდგენილნი არიან ქვიშაქვებით, ტუფოგენური ქვიშაქვებითა და არგილიტებით.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება თრიალეთის ნაპრალოვან, და ნაპრალოვან-კარსტული წყლების რაიონს. ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემის ოლქს.

საკვლევი უბნის ფარგლებში გრუნტის წყალი დაფიქსირდა 7.50მ-ის სიღრმეზე.

5.სეისმურობა

რეგიონის გეოლოგიური აგებულება-ქანების რაობა, ასაკი, გენეზისი და ა.შ. განსაზღვრავს მის სეისმურობას. ნორმატიული დოკუმენტის „სეისმომედევი მშენებლობა (პნ01.01-09) მიხედვით რაიონი მიეკუთვნება მიწისძვრების 8 ბალიან ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი $A=0,16$. სეისმური თვისებების მიხედვით, საკვლევი უბნის ამგები ქანები, არის II კატეგორიის, ამიტომ სეისმურობა დარჩება 8 ბალი.

6.საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

სახიდე გადასასვლელის ტერიტორიაზე ჩატარებული საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა 4 ფენა – საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

სგე-1 თიხაქვიშა ნაცრისფერი, პლასტიკური კონსისტენციის.

სგე-2. რიყნარი-კენჭი და ხრეში კაჭრებისა ჩანართებით 5%-მდე, თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი.

სგე-3. თხელი და საშუალოშრეებრივი (70%) ქვიშაქვები ყვითელი ფერის, თხელშრეებრივი, მუქი ნაცრისფერი არგილიტების შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრალიანებული.

სგე-4. თხელი და საშუალოშრეებრივი (70%) ქვიშაქვები ლურჯი ფერის, თხელშრეებრივი, მუქი ნაცრისფერი არგილიტების შუაშრეებით, გამოფიტული და დანაპრალიანებული.

გრუნტების ძირითადი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლები მოცემულია საანგარიშო მნიშვნელობების ცხრილში. სგე-4 წინაღობა ერთდერძა კუმშვაზე მოცემულია ბუნებრივ პირობებში,

საპროექტო ხიდის ხიმინჯები უნდა განთავსდეს **სგე-4-ზე**.

საკვლევი უბნის ფარგლებში გრუნტის წყალი გამოვლინდა №2 ჭაბურღილში. იგი არის ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიანია. გრუნტის წყალი არ არის აგრესიული არც ერთი მარკის ბეტონის მიმართ, ნებისმიერ ცემენტზე.

სახიფათო გეოდინამიკური პროცესები და მოვლენები საკვლევი უბნის ფარგლებში, არ ფიქსირდება.

ამრიგად ზემოთმოყვანილი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, საკვლევი ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება მეორე კატეგორიას.

7. დასკვნები და რეკომენდაციები

1. საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუქის მიხედვით თბილისის ტერიტორია და მისი შემოგარენი წარმოადგენს მთაგორიან, ძლიერ დანაწევრებული რელიეფის მქონე ზონას მდ. მტკვრის ხეობაში
2. სამშენებლო-კლიმატური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება III კლიმატურ და III-გ ქვერეიონს
3. საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით თბილისი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ ნაწილის ცენტრალურ ტექტონიკურ ზონაში..

4. საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება თრიალეთის ნაპრალოვან, და ნაპრალოვან-კარსტული წყლების რაიონს. ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემის ოლქს. წყლები ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიანია.
5. გრუნტის წყალი გამოვლინდა №2 ჭაბურღილში, იგი არ არის აგრესიული არც ერთი მარკის ბეტონის მიმართ ნებისმიერ ცემენტზე.
6. საკვლევი ტერიტორიის სეისმურობა შეადგენს 8 ბალს;
7. სახიფათო გეოდინამიკური პროცესები და მოვლენები არ ფიქსირდება.
8. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება მეორე კატეგორიას;
9. საპროექტო ხიდის ხიმინჯები უნდა განთავსდეს სგე-4-ზე.

ინჟინერ-გეოლოგი:

/ტ. ლომიძე/

**ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდ.მტკვარზე ზაჰესი-
ჯვრის მონასტრის გზის 1+00 კილომეტრზე**

წყლის სინჯის მახასიათებლები

სინჯის აღების ადგილი და თარიღი ჭ.№ 2 სიღრმე – 7.5.50. 19.09.2019წ

ფიზიკური თვისებები

ტემპერატურა °C	–	სუნი ბალებში	0.0
გამჭვირვალობა	გამჭვირვალე	გემო ბალებში	–
ფერი	უფერული	ნალექი	მცირე რაოდენობით

ქიმიური ანალიზი

ანიონები A	შემცველობა ლიტრში			სიხისტე	საერთო მგ/ეკვ/ლ	-
	მგ	მგ-ეკვ	%მგ-ეკვ		კარბონატული მგ-ეკვ/ლ	-
Cl ⁻	7.20	0.20	5.60	PH		7.3
SO ₄ ²⁻	32.10	0.67	18.44	CO ₂ თავისუფალი	მგ/ლ	-
HCO ₃ ⁻	168.00	2.75	75.96	CO ₂ აგრესიული	მგ/ლ	-
CO ₃ ²⁻				O ₂ ჟანგვადობა	მგ/ლ	-
NO ₃ ⁻				H ₂ S	მგ/ლ	-
NO ₂ ⁻				საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	187.5
Σ A	207.3	3.62	100	მშრალი ნაშთი	მგ/ლ	
კათიონები K	შემცველობა ლიტრში			გამარილიანების ფორმულა		
	მგ	მგ-ეკვ	%მგ-ეკვ			
Na ⁺ +K ⁺	7.80	0.32	8.89			
Ca ⁺⁺	41.30	2.06	56.85			

Mg ⁺⁺	15.10	1.24	34.26	<div style="text-align: right;"> <p>HCO₃⁻ 76</p> <hr/> <p>M_{0.27}</p> <p>Ca⁺⁺ 57 Mg⁺⁺ 34</p> </div>
Fe ⁺⁺				
Fe ⁺⁺⁺				
NH ₄ ⁺				
ΣK	64.2	3.62	100	
ΣA+ΣK	271.5			

დასკვნა: წყალი დაბალი მინერალიზაციისა და სიხისტისაა, იგი ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-მაგნიუმია.. სანიტარული ანალიზის შედეგები დამაკმაყოფილებელია. წყალს არ ახასიათებს არცერთი სახის აგრესიულობა ნებისმიერი მარკის ბეტონის მიმართ

ანალიზის ჩატარების თარიღი 21. 09. 2019წ.

ანალიტიკოსი

ღ.მინაძე

ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდ. მტკვარზე ზაჰესი-ჯვრის მონასტრის გზის 1+00 კილომეტრზე.

გრუნტების ძირითადი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებელთა საანგარიშო მნიშვნელობები

ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდ.მტკვარზე ზაჰესი-ჯვრის მონასტრის გზის 1+00 კილომეტრზე

2 გრუნტის გრანულომეტრული შემადგენლობა %





№ რიგზე	ფრაქციების ზომა მმ.	თიხა < 0.005	მტკვარი	ქვიშა				კენჭი-ხვინჭა			რიყნარი-ღორღი			კაჭარი		
				მტვრისებური	წვრილი	საშუალო	მსხვილი	სრესისებური	წვრილი	საშუალო	მსხვილი	წვრილი	საშუალო	ღორღი	მცირე	საშუალო
1	ჭაბ.№2	18	1.6	2.3	-	1.7	-	10.1	9.2	16.0	22.6	8.9	4.6	5.0	-	-


გრუნტების მახასიათებლები		გრუნტების დასახელება													
		მოდული წონა – P გ/სმ ³	ტენიანობა – W %	ტენიანობის ხარისხი - Sr	კლასტურობის რიცხვი - Ip	კონსისტენციის კოეფიციენტი - IL	ფორიანობის კოეფიციენტი – e	დეფორმაციის მოდული – E	კუმულაციის კოეფიციენტი – a	შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი – ϕ°	შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი – f	ხვედრითი უმჯობესობა – C	პირობითი წინადაობა – Ro/Rc	დამუშავების სიძნელის	საპროექტო ქანობი -
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1															
1	თიხაქვიშა მუქი ნაცრის ფერი, პლასტიკური	1.69	21.5	-	-	-	-	35	-	22	0.40	0.20	1.50	34-ბ	1:1.5
2	რიყნარი-კენჭი და ხრეში, კაჭრებისა ჩანართებით 5%-მდე, სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით, ტენიანი და წყალგაჯერებული.	1.95	-	-	-	-	-	550	-	45	1.0	0.12	4.5	6-ე III-კატ	1:1.5




3	თხელი და საშუალოშრეებრივი მსხვილ-მარცვლოვანი(75-80%) ქვიშაქვები, თხელ-შრეებრივი, მუქი ნაცრისფერი არგილიტების შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული და დანაპრალიანებული.	2.08	-	-	-	-	-	-	-	27	0.51	11.0	13.2	28-ა V კატ	1:0.5
4	თხელი და საშუალოშრეებრივი (70%) ქვიშაქვები, თხელშრეებრივი, მუქი ნაცრისფერი არგილიტების შუაშრეებით, გამოფიტული და დანაპრალიანებული.	2.45	-	-	-	-	-	-	-	37	0.75	22	386	28-ბ VI კატ	1:0.5

ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდ.მტკვარზე ზაპესი-ჯვრის მონასტერის გზის კმ 1+00-ზე






გეოლოგიური პირობითი ნიშნები


№	გეოლოგიური სახელი და გერეზისი	აღნიშვნა	ლითოლოგიური დახასიათება და ინდექსი
1	Q _{4-a}	 ①	თიხაქვიშა მუქი ნაცრისფერი, პლასტიკური კონსისტენციის - ①
2	Q _{4-a}	 ②	რიყნარი კენჭი და ხრეში კაჭრების ჩანართებით 5%-მდე თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - ②
3	P ₂ ³	 ③	სქელშრეებრივი ქვიშაქვებისა უვითელი ფერის 70% და თხელშრეებრივი არგილიტების შორიგეობა, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრადლიანებული - ③
4	P ₂ ³	 ④	სქელშრეებრივი ქვიშაქვებისა დურჯი ფერის 70% და თხელშრეებრივი არგილიტების შორიგეობა, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრადლიანებული - ④



-  ტაბ. №1 წყლიანი ტაბურდილი და მისი ნომერი
-  4.0 გრუნტის ნიმუში და აღების სიღრმე
-  820 გრუნტის წყლის ნიმუში და აღების სიღრმე

ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდ.მტკვარზე ზაპესი-ჯვარის მონასტერის გზის კმ 1+00-ზე						
ჭაბურღილის ლითოლოგიური კრილი						
ჭაბ. №1 ნიშნული: 451.62		ადგილმდებარეობა - 479283/4629909			სიღრმე - 8.0 თარიღი - 19.09.2019	
შრის ნომერი	ლითოლოგიური კრილი, კონსისტენცია ტენიანობა შასტაბი 1:100	შრის საკმის სიღრმე - მ	გრ. წყლის დონე - მ		ნიმუშის აჯუბის სიღრმე, მ	ლითოლოგიური აღწერა და ინდექსი
1	2	3	4	5	6	7
1		0.70				რეზანი კუბტი და ხრეში კატრების ჩანართებით 5%-მდე თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - (2)
2		4.0				სქელშრეებრივი ქვიშაქვებისა ყვითელი ფერის 70% და თხელშრეებრივი არგილიტების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრაღლიანებული (3)
3		8.0			5.0	სქელშრეებრივი ქვიშაქვებისა ღურჯი ფერის 70% და თხელშრეებრივი არგილიტების მორიგეობა, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრაღლიანებული (4)

ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდ.მტკვარზე ზაპესი-ჯვრის მონასტერის გზის კმ 1+00-ზე						
ჭაბურღილის ლითოლოგიური ტრილი						
ჭაბ. №2 ნიშნული: 448.58		ადგილმდებარეობა - 479326/4629847				ხილრმე - 11.0 თარიღი - 19.09.2019
შრის ნიშნები	ლითოლოგიური ტრილი, კონსისტენცია ტენიანობა მახშტაბი 1:100	შრის სიღრმის სიღრმე - მ	გრ. წყლის დონე - მ		სიღრმის აკვების სიღრმე	ლითოლოგიური აღწერა და ინდექსი
1	2	3	4	5	6	7
1		3.0				რიყნარი კენჭი და ხრეში კატრების ჩანართებით 5%-მდე თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი - (2)
2		7.0				თიხაქვიშა მუქი ნაცრისფერი, პლასტიკური კონსისტენციის - (1)
3		9.0	7.50	7.50	7.50	რიყნარი კენჭი და ხრეში კატრების ჩანართებით 5%-მდე თიხნარის შემავსებლით, მცირეტენიანი 7.50მ-მდე ქვემოთ წყალაჯერებული - (2)
4		9.80				სქელშრეებრივი ქვიშაქვებისა უფროელი ფერის 70% და თხელშრეებრივი არგილიტების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრაღლიანებული (3)
5		11.0				სქელშრეებრივი ქვიშაქვებისა ღურჯი ფერის 70% და თხელშრეებრივი არგილიტების მორიგეობა, ხუსტად გამოფიტული და ხუსტად დანაპრაღლიანებული - (4)



ახალი ხაზივე გადასასვლელის მშენებლობა მდ.ტყეარზე
ზაქცი-ჯერის მონასტერის გზის კმ 1+00-ზე

ჭაბ. №1




ახალი ხაზივე გადასასვლელის მშენებლობა მდ.ტყეარზე
ზაქცი-ჯერის მონასტერის გზის კმ 1+00-ზე

ჭაბ. №2



დანართი 5- არქეოლოგიური კვლევის და ძეგლების გამოვლენისა და დაცვის
ანგარიშები

მცხეთის მუნიციპალიტეტის შიდა სახელმწიფოებრივი მშენებლობას, ზაჰესი-ჯვრის მონასტრის ს/გზის პირველ კმ-ზე მდ. მტკვრის არხზე, ახალი სახიდე გადასასვლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ, არქიტექტურის ძეგლების გამოვლენისა და დაცვის მიზნით ჩატარებული კვლევის ანგარიში



შემსრულებელი ბ. კუპრეიშვილი
თბილისი 2020 წ.

შიდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ზაჰსი-ჯვრის მონასტრის ს/გზის პირველ კმ-ზე მდ. მტკვრის არხზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ, არქიტექტურის ძეგლების გამოვლენისა და დაცვის მიზნით ჩატარდა კვლევა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის დაბა ზაჰსის ტერიტორიაზე, ზაჰსი-ჯვრის მონასტრის ს/გზის პირველ კმ-ზე მდ. მტკვრის არხზე 1924 წ. აშენებულ რკინაბეტონის გაშლილ თაღოვანი ხიდის აღმოსავლეთით, (ხიდი ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნას), გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე უნდა აშენდეს, ახალი სახიდე გადასასვლელი. აქვე ავლნიშნავთ, რომ ძველი ხიდის მარჯვენა ბურჯს დასავლეთის მხრიდან აქვს წარწერა ჰესი 1924 წ., ხოლო აღმოსავლეთით გამოსახულია "საჭოთა საქართველოს გერბი". როგორც ავლნიშნეთ ახალი სახიდე გადასასვლელი უნდა გაკეთდეს არსებული ძველი ხიდის აღმოსავლეთით, ძველი ხიდიდან, ახალი ხიდის მარჯვენა ნაპირის ბურჯი, დაცილებული იქნება 19,09 მეტრით, ხოლო მარცხენა 8,97 მეტრით. შერჩეული მიწის ნაკვეთები, არხის მარჯვენა მხარეს მთლიანად ბალახოვანია, ხოლო მარცხენა ნაპირი ხებუჩქნარით არის დაფარული. ახალი სახიდე გადასასვლელის ბურჯების კოორდინატებია: მარჯვენა ბურჯის დასავლეთის X 4629846; Y 479287; ხოლო აღმოსავლეთის X 4629848; Y 479298; მარცხენა ბურჯის დასავლეთის X 4629898; Y 479277 ; და აღმოსავლეთის X 4629900; Y 479288;

ჩვეს მიერ საველე პირობებში მოხდა, საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება, როგორც საამშენებლო დერეფნის, ასევე მისი მიმდებარე ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არქიტექტურის ძეგლები საერთოდ არ ფიქსირდება. რაც შეეხება ჯვრის მონასტერს, რომლის მიმართულებითაც მიემართება მდ.მტკვრის არხზე ახალი სახიდე გადასასვლელიდან გზა, საპროექტო საამშენებლო ობიექტიდან საერთოდ არ აღიქმება, რადგანაც ძეგლი საკმაოდ დიდი მანძილით არის დაცილებული საამშენებლო უბნიდან. ამდენად საპროექტო სამუშაოები უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს მასზე. ამდენად აღნიშნულ ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება დასაშვებად მიგვაჩნია. აქვე ავლნიშნავთ, რომ ახალი ხიდის მშენებლობა, უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს 1924 წ. აშენებულ ხიდზე და მისი იდენტობა შენარჩუნებული იქნება. ანგარიშ თან ახლავს: ორთოფოტო, ტოპო გეგმა კოორდინატებით და ფოტო მასალა.

ისტორიკოსი, ძეგლთა დაცვის

სპეციალისტი ბ. კუპრეიშვილი











შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზაჰესი-ჯვრის მონასტრის ს/გზის პირველ კილომეტრზე მდ.მტკვრის არხზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის განკუთვნილ მიწის ტერიტორიაზე არქეოლოგ მერაბ ძნელაძის მიერ ჩატარებული

არქეოლოგიური კვლევის ანგარიში



ანგარიშის ავტორი- არქეოლოგი ,

ისტორიის დოქტორი მერაბ ძნელაძე

2020 წ.

2020 წლის თებერვალს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზაჰესი-ჯვრის მონასტრის ს/გზის პირველ კილომეტრზე მდ.მტკვრის არხზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის განკუთვნილ მიწის ტერიტორიაზე არქეოლოგიური საექსპერტო კვლევა ჩავატარე (იხ. გეგმა, ორთოფოტო, სურათები).

შესასწავლი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, მოქცეულია ტოპორუკაზე წარმოდგენილ კოორდინატებში (იხ. გეგმა).

ახალი ხიდის კოორდინატებია:

ხიდის სამხრეთის (მდ.მტკვრის) მხარის კოორდინატები:

1. X: 4629846, 534 Y: 479287, 962

2. X: 4629848, 644 Y: 479298, 758

ხიდის ჩრდილოეთის (ჯვრის ეკლესიის) მხარის კოორდინატები:

3. X: 4629898, 060 Y: 479277, 893

4. X: 4629900, 169 Y: 479288, 689

საპროექტო ხიდი თბილისი - მცხეთი საავტომობილო გზიდან ჯვრის ეკლესიისაკენ მიმართულებით მდ.მტკვრიდან ჰესისაკენ მიმდინარე წყლის არხზე მდებარეობს. იგი იქვე ძველი - საბჭოთა პერიოდში (1924 წელს) აგებული ხიდის გვერდზე შენდება. ძველი ხიდიდან ჩრდილოეთ ნაწილში 9 მ-თაა დაშორებული, ხოლო სამხრეთით - 19 მ-ით.

ახალი ხიდისთვის განკუთვნილი მიწის ფართობი არხის მშენებლობის დროს, ძირითადად, ხელოვნურადაა შექმნილი.

აღნიშნული ფართობის ვიზუალური დაკვირვების შედეგად არქეოლოგიური ობიექტის ნაშთები: მოძრავი და უძრავი არტეფაქტები არ დადასტურდა.


ამდენად, ხიდის სარეკონსტრუქციოდ გამოყოფილ ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების ჩატარება დასაშვებად მიგვაჩნია.

მიწის სამუშაოების პროცესში არქეოლოგიური ძეგლის დადასტურების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის კანონის შესაბამისად უზრუნველყოს ძეგლის გადაუდებელი შესწავლა.

ექსპერტ -არქეოლოგი,

ისტორიის დოქტორი მერაბ ძნელაძე -

1









დანართი 6- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დასკვნა



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia



KA990120090934620

№17/904

05 / მარტი / 2020 წ.

საქართველოს საავტომობილო
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს
ალექსანდრე თევდორაძეს

ბატონო ალექსანდრე,


თქვენი ან 27 თებერვლის წერილის N2-12/2522 პასუხად, რომელიც ეხება თქვენი უწყების მიერ დაგეგმილ, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზაქესი-ჯვრის მონასტრის საავტომობილო გზის 1-ელ კმ-ზე მდინარე შტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას და საპროექტო ტერიტორიაზე არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ვიზუალური დაზვერვების ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არქეოლოგიური და არქიტექტურული ობიექტები/ძეგლები და არტეფაქტები არ დასტურდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გეძლევათ დადაებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე



დავით ლომიტაშვილი